

შპს „ანტრე-2008“

204549792

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები	9
დასკვნის ბოლო გვერდი	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ანტრე-2008“-ის ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ანტრე-2008“-ის (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლების სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალდება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშება მთლიანად თავისუფალია უნებლიე, თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო გარიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და საადრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- საადრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

გარიგების პარტნიორი რომელიც პასუხისმგებელია ამ აუდიტის დასკვნაზე არის

ოთარ ანობაძე (SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა ალტერ ეგო (206212212)

თბილისი, საქართველო 2024 წლის 20 დეკემბერი

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

გარიგების პარტნიორი რომელიც პასუხისმგებელია ამ აუდიტის დასკვნაზე არის

ოთარ ახობაძე (SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა ალტერ ეგო (206212212)

თბილისი, საქართველო 2024 წლის 20 დეკემბერი



შპს „ანტრე-2008“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ანტრე-2008-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შესაბამეა მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 20 დეკემბერს.

დირექტორი:

ა. ჯიბუაძე



შპს „ანტრე-2008“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	107,718	52,628
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		109,696	142,533
გადახდილი ავანსები	6	5,340,453	4,035,514
მარაგი	7	417,145	409,321
სულ მიმდინარე აქტივები		5,975,012	4,639,996
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	4,503,363	4,521,576
არამატერიალური აქტივები		402	1,381
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,503,766	4,522,957
სულ აქტივები		10,478,777	9,162,954
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		1,972,872	(101,380)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		1,758,953	2,074,251
სულ კაპიტალი		3,732,024	1,973,072
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,825,815	3,592,341
საგადასახადო (აქტივი)/ვალდებულება	10	566,264	488,506
მიღებული სესხები (მიმდინარე ნაწილი)		1,000,000	1,762,411
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,392,079	5,843,258
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		1,354,674	1,346,624
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,354,674	1,346,624
სულ ვალდებულებები		6,746,753	7,189,882
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,478,777	9,162,954

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

ა. ბილაყიძე

მთავარი ბუღალტერი:

გ. ბერიძე

20 დეკემბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-20 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.



ფინანსური უწყისეები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

	შენ.	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები		29,175,230	25,584,118
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(21,183,754)	(18,323,915)
საერთო მოგება		7,991,476	7,260,203
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(5,133,097)	(4,332,117)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	13	(632,053)	(512,973)
საოპერაციო მოგება		2,226,326	2,415,113
სხვა შემოსავალი		18,399	39,573
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(14,891)	239,883
სხვა ხარჯები	14	(470,881)	(620,319)
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		1,758,953	2,074,251
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		1,758,953	2,074,251
სხვა სრული შემოსავალი ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		1,758,953	2,074,251

დირექტორი:

20 დეკემბერი, 2024 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 9-20 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „ანტრე-2008“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

2023 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	(101,380)	(101,180)
პერიოდის შედეგი	-	2,074,251	2,074,251
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	1,972,872	1,973,072
პერიოდის შედეგი	-	1,758,953	1,758,953
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	3,731,824	3,732,024

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

ა. ზაქარაძე

ე. ხუცი

20 დეკემბერი, 2024 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვარდება 9-20 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვარდებაზე 1-3.

შპს „ანტრე-2008“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

2023 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	1,758,953	2,074,251
კორექტირება:		
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,079,137	1,001,869
საპროცენტო ხარჯი	375,544	347,562
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	14,891	(239,883)
საოპერაციო მოგება სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე	3,228,525	3,183,798
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	32,847	(27,831)
(ზრდა)/შემცირება გადახდილ ავანსებში	(1,304,939)	(2,988,510)
(ზრდა)/შემცირება მარაგებში	(7,824)	(30,850)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	222,048	1,254,525
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში	77,758	30,472
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,248,416	1,421,605
გადახდილი პროცენტი	(375,544)	(382,078)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	1,872,872	1,039,527
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,059,946)	(895,676)
გაცემული სესხის დაბრუნება	-	8,000
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,059,946)	(887,676)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების მიღება	-	750,000
მიღებული სესხის გადახდა	(738,031)	(917,111)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(738,031)	(167,111)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(19,805)	(14,682)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	55,090	(29,942)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	52,628	82,570
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	107,718	52,628

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

20 დეკემბერი, 2024 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-20 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.



1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ანტრე 2008 ("კომპანია") დაარსდა 2008 წლის 4 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საიდენტიფიკაციო კოდი: 204549792) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კომპანია ფუნქციონირებს, როგორც საცხოვრების ქსელი და ყიდის სხვადასხვა საკვებს, ძირითადად ფქვილეულისგან დამზადებულს, რომელსაც აქვს 15 კაფე და 2 რესტორანი (დახურული ტიპის კლუბი).

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელი არის თამილა მასურაძე (პირადი ნომერი: 01008000666).

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ჯანაშიას ქ. N28, ბ. 7.

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და პირვანდელი ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ერთეულ ლარამდე.

შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-4 შენიშვნაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის

მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკუროს სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობები	- 25 - 40 წელი
მანქანა-დანადგარები	- 8 - 10 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი და მოწყობილობა	- 4 - 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 8 - 10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 6 - 7 წელი
სხვა ძირითადი საშუალების ჯგუფები	- 2 - 5 წელი

ვინაიდან შეუძლებელია მიწის სასრული გამოყენების ვადის დადგენა, შესაბამისი საბალანსო ღირებულებაც ცვეთას არ ექვემდებარება.

ძირითადი საშუალების გაუფასურება

ანაზღაურებადი ღირებულება არის, აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებას და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უმცირესი. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, იგი უნდა შემცირდეს ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხარჯის სახით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც აქტივი ასახულია გადაფასებული თანხით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი აღიარდება როგორც ჩამოფასება.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში ამობრუნდება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადაფასებულ ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისათვის გაუფასურების გარეშე წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება როგორც შემოსავალი.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ.

აქტივის საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

იჯარა

იჯარა, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი ეკუთვნის მეიჯარეს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის დროს განხორციელებული გადახდები (გამქირავებლისგან მიღებული წახალისების გარეშე) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით იჯარის პერიოდისათვის.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, თუ არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადადის კომპანიის საკუთრებაში. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიან ღირებულებასა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი ღირებულება აღიარდება როგორც ფინანსური საიჯარო ვალდებულება.

ცვეთის მეთოდები და ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შესაბამემა იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შესადარის აქტივებზე, რომლებიც იურიდიულად არის კომპანიის საკუთრებაში. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულებები მცირდება იჯარის გადახდებსა და ფინანსურ ხარჯებს შორის სხვაობით, რომლებიც ხარჯში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯის ნაწილი.

საიჯარო გადასახადების საპროცენტო ნაწილი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რათა წარმოადგენდეს დარჩენილი კაპიტალის ნაშთის მუდმივ ნაწილს, და ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის

შემენასთან და მის ადგილზე მიტანასთან. მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს შეფუთვის ხარჯებს, ნედლეულს, სათადარიგო ნაწილებს და სხვა პირდაპირ ხარჯებს და მასთან დაკავშირებულ წარმოების ხარჯებს.

კომპანიის პოლიტიკის თანახმად, ყოველი დღის ბოლოს მზა საქონლის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ფინანსური ინსტრუმენტები, სტანდარტით დაშვებული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საგამონაკლისო შემთხვევებს მიეკუთვნება მოკლევადიანი ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება. მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, სავალუტო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

საექვო მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც საწარმოსთვის ხდება ცნობილი, რაც გულისხმობს იმას, რომ საწარმო ეყენება წარსულში მომხდარ მოვლენებს.

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისთვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა (ჩათვლა)

ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების ურთიერთგადაფარვა უნდა მოხდეს და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახოს ნეტო თანხით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება; და

ბ) საწარმო ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს.

ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღრიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, საწარმოს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება.

წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება, რომ ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები წარდგენილ იქნეს ნეტო საფუძველზე, როდესაც ასეთი წარდგენა ასახავს საწარმოში მოსალოდნელ ფულადი სახსრების ნაკადს, ორი ან ორზე მეტი ცალკე აღებული ფინანსური ინსტრუმენტით ანგარიშსწორებიდან. როდესაც საწარმოს მხოლოდ ერთი ნეტო თანხის მიღების ან გადახდის უფლება აქვს და ამის გაკეთებას აპირებს, ეს ნიშნავს, რომ მას, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება აქვს. სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივები და ფინანსური

ვალდებულებები წარედგინება ცალ-ცალკე, მათი მახასიათებლების მიხედვით, საწარმოს რესურსების ან ვალდებულებების სახით.

ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები – არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

აღრიცხვა და წარდგენა

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი სახსრები საბანკო აგარიშზე გადაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის გამოყენებით.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს პარტნიორთა შენატანს კომპანიის კაპიტალში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში ხორციელდება კომპანიის პარტნიორების მიერ.

დაგროვილი მოგება/(ზარალი) შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან, („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“) რომელიც გულისხმობს ნულოვან კორპორატიულ გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს განაწილებულ მოგებაზე (აქციონერებზე განაწილებული მოგება დივიდენდების სახით) და ინდივიდუალურ გარიგებებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არალეგალური საზღვრისპირა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას და სხვა).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას, ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის 29-ე განყოფილებით „მოგების გადასახადი“ არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(b) წლიურ ფასიან შევსებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

როდესაც დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს საქონლის გასაყიდად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, დეკლარაციების, ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ; მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილდება კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

საქონლის გაყიდვა - საცალო

კომპანია ფუნქციონირებს როგორც საცხოვრების ქსელი, რომელიც ყიდის სხვადასხვა სახის ფქვილზე დაფუძნებულ საკვებს. საქონლის გაყიდვა აღიარდება, როდესაც საწარმო ყიდის პროდუქტს მომხმარებელზე, რადგანაც კონტროლი გადადის მომხმარებელზე იმ დღეს, როდესაც ხდება გარიგება. საცალო გაყიდვები ჩვეულებრივ ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო ბარათით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია ყოველი წლის ბოლოს ატარებს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური

მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ზემოხსენებული აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs - მსს ფასს) მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ნაღდი ფული სალაროში (ეროვნული ვალუტა)	84,356	44,603
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	23,101	8,011
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	260	14
ჯამი	107,718	52,628

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სხვა საწარმოს წილის შესყიდვისთვის გადახდილი ავანსები	5,209,504	4,022,022
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	104,638	13,492
წინასწარ გადახდილი იჯარა	26,311	-
ჯამი	5,340,453	4,035,514

7. მარაგი

მარაგი	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ძირითადი ნედლეული და მასალები	292,929	303,451
შესაფუთი და დამხმარე მასალები	121,213	104,356
საწვავ-საცხები მასალები	3,003	1,514
ჯამი	417,145	409,321

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვ ილობა	ავეჯი და მოწყობი ლობა	სატრან სპორტო საშუალ ებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	მცირეფას იანი ძირ. საშუალებ ები	სპეცტანს აცმელი	მცენარ ეები დეკორა ციისთვ ის	ჯამი
პირვანდელი ღირებულება 01-იან- 2022	302,166	2,045,227	2,576,416	744,048	1,962,576	209,651	2,911,052	997,014	339,302	29,023	12,116,475
ზრდა	-	81,454	278,191	27,938	146,681	-	228,943	97,075	24,831	10,563	895,676
შემცირება	-	-	-	-	-	-	-	-	-	(530)	(530)
პირვანდელი ღირებულება 31- დეკ-2022	302,166	2,126,681	2,854,607	771,986	2,109,257	209,651	3,139,995	1,094,088	364,133	39,056	13,011,621
ზრდა	-	44,824	243,683	75,687	222,206	-	317,026	89,387	58,736	8,398	1,059,946
შემცირება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
პირვანდელი ღირებულება 31- დეკ-2023	302,166	2,171,505	3,098,290	847,673	2,331,463	209,651	3,457,021	1,183,476	422,869	47,454	14,071,567
აკუმულირებული ცვეთა 01-იან-2022	-	(376,964)	(1,912,638)	(563,064)	(1,502,649)	(63,588)	(1,827,033)	(927,541)	(291,665)	(24,543)	(7,489,685)
ცვეთის ხარჯი	-	(83,296)	(172,454)	(68,736)	(151,225)	(19,694)	(389,284)	(76,200)	(38,206)	(1,797)	(1,000,890)
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	-	-	-	-	-	-	-	530	530
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2022	-	(460,260)	(2,085,091)	(631,800)	(1,653,874)	(83,282)	(2,216,317)	(1,003,741)	(329,871)	(25,810)	(8,490,045)
ცვეთის ხარჯი	-	(86,280)	(180,987)	(64,837)	(183,854)	(19,694)	(405,213)	(86,500)	(36,461)	(14,333)	(1,078,159)
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვეთა 31-დეკ-2023	-	(546,540)	(2,266,079)	(696,637)	(1,837,727)	(102,976)	(2,621,530)	(1,090,241)	(366,331)	(40,143)	(9,568,203)
საბალანსო ღირებულება 01-იან- 2022	302,166	1,668,263	663,778	180,984	459,927	146,063	1,084,019	69,473	47,637	4,480	4,626,790

შპს „ანტრე-2008“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

საბალანსო ღირებულება 31- დეკ-2022	302,166	1,666,421	769,516	140,186	455,384	126,369	923,678	90,348	34,263	13,246	4,521,576
საბალანსო ღირებულება 31- დეკ-2023	302,166	1,624,965	832,211	151,036	493,736	106,675	835,491	93,235	56,537	7,311	4,503,363

გარემოებები, რომელიც მიანიშნებდა საწარმოს ძირითადი საშუალებების გაუფასურებას, არ არსებობს. ასევე, არ არსებობს ისეთი გარემოებები, რომელიც მიანიშნებდა ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების ან მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებას.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო ვალდებულებები	2,909,003	2,822,022
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	914,985	769,992
მიღებული ავანსები	1,828	328
ჯამი	3,825,815	3,592,341

10. საგადასახადო (აქტივი)/ვალდებულება

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	460,713	342,614
გადასახდელი დღგ	214,340	194,543
ნაერთი საბიუჯეტო გადასახადი	(80,111)	(48,961)
გადახდილი დღგ	(4,262)	(750)
ქონების გადასახადი	(579)	(2,206)
სხვა საგადასახადო (აქტივი)/ვალდებულება	(23,837)	3,267
ჯამი	566,264	488,506

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2023 წელი	2022 წელი
ნედლეულის და საქონლის თვითღირებულება	12,022,745	10,709,671
შრომის ანაზღაურება	6,572,792	5,240,263
ბრენდირებული შესაფუთი მასალები	1,898,477	1,715,344
კომუნალური ხარჯები	613,299	593,858
სამზარეულოს ტექნიკის მომსახურების ხარჯი	42,976	42,942
სხვა ხარჯები	33,465	21,838
ჯამი	21,183,754	18,323,915

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
იჯარის ხარჯი	1,791,494	1,668,312
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,079,137	1,001,869
დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯი	781,760	536,363
ბანკის ხარჯი	490,297	360,558
ოფისის ხარჯი	299,686	215,910
შეკეთებისა და მოვლის ხარჯი	221,030	181,811
აუდიტის, კონსულტაციისა და იურიდიული მომსახურების ხარჯი	195,887	218,345
საგადასახადო ხარჯი	42,090	42,721
კომუნალური ხარჯები	24,728	20,071
სხვა	206,988	86,156
ჯამი	5,133,097	4,332,117

13. მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები

მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
შრომის ანაზღაურების ხარჯი	488,824	372,273
საწვავის ხარჯი (ლოჯისტიკა)	88,421	106,228
დისტრიბუციისთვის განკუთვნილი ავტომობილების იჯარის ხარჯი	39,650	30,500
რეკლამის ხარჯი	15,158	3,972
ჯამი	632,053	512,973

14. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
საპროცენტო ხარჯები	375,544	347,562
საქველმოქმედ ხარჯები	82,212	258,177
ბიუჯეტის მიმართ აღარებულ ჯარიმების ხარჯი	12,504	13,030
სხვა ხარჯი	620	1,550
ჯამი	470,881	620,319

15. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები**სამართალწარმოება**

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულიად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აკონტროლებს თამილა მაისურაძე, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100%-ს.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები:

	2023 წელი	2022 წელი
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		
იჯარის ხარჯი	667,265	511,148
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	787,196	603,154
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა	32,700	15,000
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხის დაბრუნება	32,966	8,000
საინვესტიციოდ გაცემული თანხა	1,372,780	2,985,722
საინვესტიციოდ გაცემული თანხის დაბრუნება	185,298	-
ჯამი:	3,078,205	4,123,024

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2024 წლის 20 დეკემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი ისეთ არამაკორექტირებელ მოვლენებს, რომლის გამჟღავნებაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის საჭიროა მსს ფასს სტანდარტის 32-ე განყოფილების მიხედვით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება “ანტრე 2008“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

შინაარსი

1.	საქმიანობის მიმოხილვა	4
2.	განვითარების სტრატეგია	7
3.	ჩატარებული კვლევები	7
4.	ფინანსური ინფორმაცია	8

წარმომადგენლობა



წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ანტრე 2008“-ს მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

20 დეკემბერი 2024 წ.

თამილა მაისურაძე

დირექტორი

შპს „ანტრე 2008“



1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია „ანტრე 2008“ (შემდგომში - კომპანია ან ანტრე) (საიდენტიფიკაციო კოდი - 204549792) დაარსდა 2008 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით და თამილა მაისურაძის 100% წილობრივი მონაწილეობით, საწესდებო კაპიტალით - 200 ლარი.

კომპანიის გენერალური დირექტორი დაარსების დღიდან არის თამილა მაისურაძე, ხოლო აღმასრულებელი დირექტორია ევგენი ფიჩხაია, რომელიც მართავს კომპანიას.

სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების/კოორდინატორების სახით: კომერციული განყოფილება, ფინანსური განყოფილება, აღრიცხვების განყოფილება, ხარისხის მართვის განყოფილება, იურიდიული განყოფილება, IT განყოფილება, ინკასაციისა და უსაფრთხოების განყოფილება, სასაქონლო მარაგების მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილება.

ზედა რგოლის მენეჯმენტს წარმოადგენენ რეგიონული მენეჯერები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფილიალების გამართულ მუშაობაზე. ქვედა რგოლის მენეჯმენტს შეადგენენ ფილიალების მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ ფილიალების ოპერატიულ მართვას შესაბამისი ლოკაციების მიხედვით.

კომპანიის მისია და საქმიანობის მიზანი

შპს „ანტრე 2008“-ის მისიაა დაამკვიდროს მაღალი სამომხმარებლო სტანდარტი ქსელური ტიპის საკვების ობიექტების სეგმენტში, რაც გამოიხატება პროდუქციის მაღალ ხარისხში, მის ორიგინალურობაში, მომსახურების სიზუსტესა და წამყვანი პერსონალის კვალიფიკაციაში. კომპანია პოზიციონირებს როგორც გურმანული კაფეტერიების ქსელი. კომპანიის არსებობის მთვარი პრინციპია შექმნას მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და გემრიელი პროდუქტი.

ძირითადი საკითხების მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების წარმოება-რეალიზაცია. ფრანგული პურ-ფუნთუშეულის, ღვეზელების, სენდვიჩების, სალათების, სუპების, ცხელი კერძების, საკონდიტრო ნაწარმისა და ხილის სალათების გარდა ანტრე სთავაზობს მომხმარებელს ევროპულ საუზმეებს და ფრანგულ კრუასანებს. საკვების სფეროში 17-წლიანი მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ბაზარზე კომპანია ძლიერად არის წარმოდგენილი და ბრენდის ცნობადობა და პოზიციონირებაც მასშტაბურია.

კომპანია ბაზარზე ფართო სავაჭრო ქსელით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს 15 კაფეს და 2 რესტორანს (დახურული ტიპის კლუბი).

ასევე კონკურენტულ უპირატესობას ქმნის მძლავრი საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა და მაღალი ხარისხის ნედლეულის სტაბილური მომწოდებლები. კაფე ანტრესთვის საჭირო ინგრედიენტებით, მომსახურებით და პროდუქტით მომარაგება ანტრეს წარმოების შეუფერხებელ და უწყვეტ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

პროდუქციის ვრცელი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც დიზაინის, ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა გემოვნებისა და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.

ანტრე მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შედეგად კომპანია უკომპრომისოდ აქცენტს აკეთებს ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.

კომპანიის მთავარი ფასეულობაა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მიწოდება მომხმარებელზე. კომპანიის პრინციპია ქართულ ბაზარზე დაამკვიდროს მომსახურების მაღალი სტანდარტი და ჯანსაღი საკვები პროდუქტებით მომხმარებლის უზრუნველყოფა.

ანტრე ზრუნავს მომხმარებლისათვის კომფორტული, მყუდრო გარემოს შექმნაზე.

ბრენდის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თამამი გადაწყვეტილებების მიღება და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა, როგორიცაა მაგალითად მომხმარებლისათვის სრულიად ახალი პროდუქტის გაცნობა, ჯანმრთელი საკვების წარმოება და პოპულარიზაცია.

მართვის მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის კომპანიის სხვადასხვა რგოლებისთვის გაწერილი და ჩამოყალიბებულია საოპერაციო სტანდარტები და პროცედურები. სწრაფი ოპერირებისათვის აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ დავალებების სწრაფ შესრულებას, ინფორმაციის ეფექტიან მიმოცვლას სხვადასხვა რგოლებს შორის (საწყობი-გაყიდვები-შესყიდვები-ადმინისტრაცია).

კომერციულ განყოფილებაში ფუნქციონირებს მარაგების ანალიზური კვლევის ჯგუფი, რომელიც მუდმივ რეჟიმში აკვირდება სასაქონლო მარაგების ბრუნვას და უზრუნველყოფს ლიკვიდური მარაგების დადგენას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შესყიდვების გუნდს განახორციელოს მათი ბაზარზე შეუფერხებელი მიწოდება.

ანტრესთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კომფორტული სამუშაო გარემოსა და ხელსაყრელი პირობების შექმნა. დასაქმებულთან ურთიერთობა რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ახალი კადრი გადის სტაჟირებას ორი კვირის ვადით, შემდეგ გამოსაცდელი სამთვიანი პერიოდის განმავლობაში უტარდება ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ყველა თანამშრომლისათვის კომპანიის მხრიდან ხდება მათზე მორგებული სამუშაო გრაფიკის შეთავაზება. დასაქმებულს აქვს უფლება მოითხოვოს კუთვნილი ანაზრაურება და ისარგებლოს ანაზრაურებადი შვებულებით. დასაქმებული ვალდებულია პირნათლად შეასრულოს თანამდებობის შესაბამისად მასზე დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას სისუფთავე, უზრუნველყოს მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება და ანტრეს გამართული ფუნქციონირება.

დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სისტემატურ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები), უტარდებათ ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, დამსახურების მიხედვით ხორციელდება შესაბამისი კადრების დაწინაურება.

წლების განმავლობაში ანტრეს ჰყავს ერთგული მომხმარებელი მისი რეპუტაციისა და პროდუქციის მაღალი ხარისხის გამო. კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კლინტთან ჩამოყალიბებულ ხანგრძლივ ურთიერთობებს. მომხმარებლის კმაყოფილებას იწვევს კონსულტანტის მხრიდან მისი რჩეული პროდუქციის დამახსოვრება და სიახლეების შეთავაზება.

კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. 24-საათიანი თანამედროვე ციფრული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად კაფე ანტრეს სტუმრებისა და თანამშრომლების მაქსიმალურ დაცვას.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული და დანერგილია შრომის უსაფრთხოების პროცედურები და სტანდარტები.

ანტრეს ხარისხის მართვის სამსახური ყოველდღიურად ამოწმებს პროდუქციის ხარისხის, ვარგისიანობის ვადების, შენახვის პირობების, სამზარეულოს სისუფთავის, პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ჰიგიენის შესაბამისობას კანონმდებლობასთან.

წარმოებაში რეგულარულად ხდება დანადგარების, ღუმელებისა და მაცივრების დასუფთავება - დეზინფექცია, ნარჩენების გატანა, საჭიროების შემთხვევაში ტექნიკის ჩანაცვლება-განახლება, შესაბამისი პერსონალის ტრენინგი.

2. განვითარების სტრატეგია

კომპანია ანტრეს მთავარი კონცეფციაა უმაღლესი დონის, რესტორნის ხარისხის პროდუქციის მიწოდება ე.წ. ფასტფუდის - გამზადებულ ფორმატში. ანტრეს ყოველთვის მისდევს მსოფლიო ტენდენციებს ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარების მომართულებით და განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს ასორტიმენტში. ამის დასტურია კაფეებში ვეგანური და კეტო პროდუქციის წარმოება.

უახლოეს მომავალში კომპანია გეგმავს ახალი ბრენდით ოპერირებას და ორი ობიექტის დამატებას თბილისში, რომელიც დივერსიფიცირებული იქნება ჰორეკას კუთხით. მიმდინარე წლის აპრილში ქ. თბილისში განხორციელდა მორიგი მასშტაბური ინვესტიცია, რომლის შედეგადაც გაიხსნა დახურული ტიპის რესტორან-კლუბი „მასკერარე“. ახალი ბრენდით ოპერირების საფუძველზე კომპანიას აქვს ყოველი მომდევნო წლის გაყიდვების 20 %-ით ზრდის მოლოდინი.

დამატებით დავძენ, რომ კომპანიის მყარი ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია ბაზარზე, იძლევა სტაბილური და დინამიური განვითარების საფუძველს სამომავლოდ.

3. ჩატარებული კვლევები

კომპანიის შიდა კვლევებისა და დაკვირვებების შესაბამისად ხდება წარმოებული პროდუქციის გაყიდვების, მოთხოვნის და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ანალიზი.

ყოველთვიურ შეხვედრებზე განვიხილავთ წარმოების მენეჯერების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, თითოეული კატეგორიის პროდუქტის ხარისხში და ფასში შესატან ცვლილებებზე.

ასევე მენეჯერების მიერ ხდება პროდუქტის შესაბამისი გაყიდვების ანალიზი თვეებისა და წლების მიხედვით. არსებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება პროდუქტის ხარისხის შეცვლის ან ფასში ცვლილებების შეტანის და წარმოებული რაოდენობის ცვლილების შესახებ.

ამ ინფორმაციის ამსახველი დეტალური ანგარიშები მზადდება ინდივიდუალურად კატეგორიის მენეჯერების მიერ და წარედგინება ფინანსურ განყოფილებას. ამის შემდეგ ფინანსური განყოფილება დამუშავებულ ანგარიშს წარუდგენს დირექტორს ახალი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

2020 წლის გარემოებებიდან გამომდინარე ჩატარდა პროდუქციის სრული ასორტიმენტის ანალიზი და კონკრეტული მიზეზებიდან გამომდინარე წარმოებიდან ამოღებულ იქნა სხვადასხვა კატეგორიები: ნაყინი, პიცა და სუში. ასევე საგრძნობლად შემცირდა ადგილზე მისართმევი პროდუქტების რაოდენობა და მოთხოვნის შესაბამისად გაიზარდა პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტროს წარმოება.

კომპანია მუდმივად შეისწავლის ბაზარზე არსებულ სიახლეებს და ცდილობს საკუთარ მომხმარებელს შესთავაზოს ინოვაციური პროდუქცია. ასე მაგალითად, ანტრემ პირველმა

გამოიტანა გასაყიდად აქტივირებული ნახშირის პური, კეტო საუზმეები და ვეგანური სალათები.

ასევე ანტრეს უმაღლესი ხარისხის სადღესასწაულო პროდუქტი: გოზინაყი და პასკა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოთხოვნადი პროდუქტებია ბაზარზე.

4. ფინანსური ინფორმაცია

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს ამ კანონით განსაზღვრულ მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიის მთლიანი კაპიტალი შეადგენს 3,732,024 ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 5,975,012 ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 4,503,766 ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2023 წელს - 29,175,230 ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს - 25,584,118 ლარი.

2023 წლის სახელფასო ფონდმა 7.8 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2022 წელს - 6.2 მილიონი ლარი.

2023 წლის მოკლევადიანი აქტივები შედგება ფულადი სახსრებისაგან, გადახდილი ავანსებისგან, მარაგებისა და სავაჭრო მოთხოვნებისაგან, რაც 2022 წლის იგივე მონაცემებთან შედარებით გაზრდილია გადახდილი ავანსებისა და ფულადი სახსრების ზრდის ხარჯზე.

კომპანიის კაპიტალის ზრდა გამოიწვია წმინდა მოგება.